# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის ადგილისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ.

**ნიკოლოზ ბარათაშვილის**

მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზავნონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს. (5—2)

---

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

კურსკის გუბერნიაში 1 აპრილიდგან ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 5. ქ. ორიოლში 1 აპრილიდგან 7 აპრილამდე ავად გახდა და გარდაიცვალა 1. სარატოვის გუბერნიაში ავად გახდა 1, ტამბოვის გუბერნიაში გარდ. 1.

სამხრეთ საფრანგეთში ქ. სეტში 10 მაისიდგან ხოლერის მსგავს ავადმყოფობით გარდაიცვალა 6 კაცი („Прав. Вѣст.“).

---

## ახალი ამბავი

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მმართველმა მოსწერა ამიერ კავკასიის სახელმწიფო ქონებათა ყველა მმართველთ და სთხოვა, ყოველ თთვე შეამტყობინეთ: თითოეულ მაზრაში როგორი მოსავალი უჩანს ხოლმე ჭირნახულსაო.

*** ტფილისისა და ბაქოს შუა შეჩერებული მიმოსვლა რკინის გზის მატარებლისა დაიწყო გუშინ. ბაქოდგან საფოსტო მატარებელი ჩამოვიდა საღამოს 6 საათზედ. დღეს დაიწყობა ბაქოსა და ტფილისს შუა საქონლის მატარებელის მიმოსვლაც.

*** თელავი, 19 მაისს: შემოვა თუ არა ურმებით ფქვილი, ბაზარშივე დაეხვევა ხალხი და საჭიროა რამდენსამე კაცს დაურიგდეს ტომრები, რომ იმათ აძლიონ მსურველთ რამდენ-რამდენიმე ფუთი. ერთი-ერთმანერთს ეხვეწებიან, მე მეტი დამითმეთ, ოჯახი დიდი მყავს, ერთ ლუკმად ა.ი გვეყოფა, რასაც მაძლევთ, ძლივ მოვსულიერდებითო. 18 მაისს სამი ურემი ფქვილი ერთს წუთას გაიყიდა. მოვიდა კიდევ ამას შემდეგ ორი ურემი. ესეც არას გახდა. პატარა ხანს უკან შემოვიდა ოთხი ფურგუნი კავკავის ფქვილისა, 360 ფუთი. ესეც იმავე დღეს გაიყიდა 1 მ. 50 კაპ., ფურგუნებისა—1 მან. 80 კაპ. ამ ნაირად ნახევარ დღეში გაიყიდა 860 ფუთი ფქვილი, მაგრამ ნახევარიც ვერ დაკმაყოფილდა. 19 მაისს, დილის 5 საათზედ შემოვიდა თელავში ცამეტი ურემი ფქვილი, ისევ ოსკანოვისა, სულ 1000 ფუთი, და ხუთის საათის განმავლობაში მტვერიც აღარ დარჩენილა, ისე გაიყიდა სრულიად. დღეში 1000 ფუთი მაინც არის საჭირო იმათთვის, ვისაც ყიდვა შეუძლიან. იფიქრეთ ახლა, რამდენია ისეთნი, რომელთაც ყიდვა არ შეუძლიანთ?

*** აწყური (თელავის მაზრა): 6 მაისს, ამაღლება დღეს, შუადღის შემდეგ მოვიდა საშინელი წვიმა და ზედ მოჰყვა ხორხვიშელა. ხალხი ძალიან შეფიქრიანდა. თუ წლეულს დავისეტყვენით და პურის მოუსავლობასთან ვენახებიდგანაც ცარიელები დავრჩით, სწორედ თავები გვექნება დასახოციო. სეტყვას თუმცა გადავრჩით, მაინც წვიმის შემდეგ მოვარდა საშინელი დიდი წყალი. ჩვენს სოფელში სამი ხევი ჩამოდის და სამივე წვიმისა და ნიაღვარის შემდეგ ერთნაირად ადიდდება ხოლმე. დღესაც სწორედ ასე მოხდა: ერთმა ხევმა, სახელდობრ „ბერხევამ“, ერთს უბანში ათი კომლი კაცის ეზოები და ვენახები სულ მთლად მოჰფინა ქვითა და ქვიშით. გომურები სულ აამსო და ზოგის სახლიდგანაც ბარგის კარში ზიდვას მიჰყო ხელი, თუ ტახტზე, ან მის ქვეშ მოახელებდა რამე, სულ კარში გამოჰქონდა. მეორე უბანში მეორე წყალმა, თუმცა რიცხვით მაგდენ კომლს არა სწვევია, მაგრამ ორ კომლს ისეთი დღე დაყარა, რომ თითქმის სახლებიც ქვებში დამალა და ვენახებს ხომ, რომელსაც-კი მოასწრო, ნასახი ძლივსღა ეტყობა, თუ რამე ჰქონდათ იქ დათესილი: სიმინდი, ან ლობიო, ან მწვანილეულობა. მესამეს მაგდენი ზარალი არ მოუცია. მეორე დღეს ამ საქმეზე ყრილობა მოხდა და გადასწყვიტეს, ვთხოვოთ მაზრის უფროსს, რომ ბეგარას რამდენიმე ჯერი აგვაცდინოს, რადგანაც სახლშივე ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი, თუ გზები და თუ სხვაო.

*** 21 მაისს თათრის მოედანზე დაინგრა სახლი ისრაილ-ბეგ ედიგაროვისა. ხალხი მშვიდობით გადარჩა.

*** ამავე დღეს პოლიციის მეხუთე ნაწილში სმადურუმა, მურავლევმა და ბუზურთაზვანოვმა მტკვრიდამ გამოიტანეს ვიღაც დამრჩვალი კაცის გვამი.

---

### კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის კრება.

პარასკევს, 21 მაისს, საღამოს რვა საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კრება მოხდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა, მეცნიერ მარიონისა, გორვატის, პროფესორ მელიქიშვილისა, პროფ. კავალევსკისა და სხვ. თანადასწრებით. კრების თავმჯდომარედ იყო ბ-ნი შიმანოვსკი, თავმჯდომარე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. საკამათო საგანი იყო: რა საშუალებით და რა გზით შეიძლება ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერით დაზიანებულ ვენახების წამლობა. ამ საგნის შესახებ წარმოსთქვეს თავიანთი აზრი მარიონმა და გორვატმა. უფრო საყურადღებო და საგულისხმიერო იყო აზრი მარიონისა. მარიონმა ფრანგულად წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც პროფესორ კოვალევსკის მიერ რუსულად იქმნა გადათარგმნილი. ჩვენ მხოლოდ მოკლედ მოვიყვანთ მის ნათქვამს: საზოგადოდ მთელ ქუთაისის გუბერნიაში და კერძოდ შორაპნის მაზრაში ყოვლად შეუძლებელია გოგირდის ნახშირ-ბადით (сѣрнистый угле-кислоротъ), წამლობა ფილოქსერისა, რადგანაც ნიადაგი ამ წამლობისათვის სულ შეუფერებელი და შეუხამებელი არისო. ქუთაისის გუბერნიის ნიადაგი 20 სანტიმეტრის ქვემოდ ძლიერ მაგარია და სწორედ ამისთვის ვერ გაიტანს გოგირდის ნახშირ-ბადი ძალას ფილოქსერაზედაო. ამ რიგად ბ-ნ მარიონის აზრით სულ უსარგებლოა ქუთაისის გუბერნიაში გოგირდის ნახშირ-ბადით წამლობა.

მერე მარიონმა ილაპარაკა იმაზედ, შეიძლება თუ არა ამერიკის ვაზის გაშენება ქუთაისის გუბერნიაში და სასარგებლო იქნება თუ არა. მარიონმა სთქვა: ჩვენ არ შეგვიძლიან ვურჩიოთ ქუთაისის გუბერნიას, რომ ამერიკის ვაზი გააშენონო. ამას იმ მოსაზრებით ვამბობთ, რომ სამხრეთ-საფრანგეთში და ავსტრი-ვენგრიაში კარგა ხანია გააშენეს ამერიკის ვაზი და ზედ ადგილობრივი ამყნეს, მაგრამ ეს ვაზი სამ-ოთხ წელიწადს თუ სძლებს და მერე ფუჭდება. ამ მაგალითის მნახველს, ჩვენ არ შეგვიძლიან ვურჩიოთ ქუთაისის გუბერნიას ამერიკის ვაზის გაშენება, მით უმეტეს, რომ თვით ევროპაშიაც არ არის ჯერ მოგონილი სახსარი ამ გვარ ვენახების ჯანმრთელად შენახვისა. ამას მე ვამბობ საზოგადოდ, ხოლო რასაკვირველია კარგი და სასარგებლო იქმნება ამერიკის ვაზი გააშენოთ სხვადა-სხვა სადგურებში და გამოსცადოთ, თუ რა შედეგი იქმნება.

შემდეგ მარიონმა სთქვა: თუ ქუთაისის გუბერნიაში და კერძოდ შორაპნის მაზრაში უსარგებლო და შეუხამებელია გოგირდის ნახშირ ბადით წამლობა ფილოქსერისა, და თუ ამერიკის ვაზის გაშენებაც სათუო სარგებლობას მოიტანს, მაშ დარჩენილა ერთი გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ხალხი, თუ არ უნდა, რომ ერთბაშად ეკონომიური კრიზისი დაატყდეს თავსაო. ხალხმა უნდა სხვა რასმეს მოჰკიდოს ხელი და მევენახობას უნდა

---

## ფელეტონი

### მოჯადოებული ქვეყანა

უცხო სტუმარო, გაუტაცნიხარ
ჩემის ქვეყნისა უმანკოებას,
და ბედნიერი ამ ალტაცებით
ამაგებ ჩემსა დაღრეჯილობას...

მკითხავ: „განგებას შენი ქვეყანა
სხვისთვის ედემად თუ შეუქმნია,
მაშ შენ, მხოლოდ შენ სიტკბოების წილ
ხვედრად ნაღველი რად დაგრჩენია?

დაჰხედე, ილხინე ტურფა ედემში:
მაისის ვარდი შეგიმკობს სუფრას,
მუსიკისა წილ ნაზი ბულბული
სტვენა-გალობით დაგიტკბობს სმენას.

შავ-თვალას მკერდის ვნებითა ღელვას
ურით მიეურდნე სულ-განაბული;
ტყეების შრიალს, წყაროთა ჩხრიალს
გარდაავოლე გულისა წყლული.

მადნებით სავსე ბუმბერაზ-მთები
გარდაგიშლიან გულის სიღრმესა,
დაჰკარ წერაქვი და ოქრო-ვერცხლის
შუქი მოჰფინე არე-მარესა.

ამ შუქის ძალით წელს გაიმართავს
ტვირთ-მძიმე მუშა—მიწისა მონა,—
და ცოდნის ხმალით დაამხობს იმას,
ვინც უწინ მისი მხსნელი ეგონა“.

ეჰ, ბედნიერო, უცხო ხარ, უცხო,
და მისთვის მწამებ მე უგულობას!
ჰგავს, არ გცოდნია, რომ ეს ედემი
მხოლოდ უცხოს ჰგვრის მხიარულებას!

მის ღვიძლ-შვილისთვის ეს მთა და ბარი,
თვალის-წარმტაცად აყვავებული,
მხოლოდ შავ-ბნელი ჯოჯოხეთია,
წყევა და კრულვით გარემოცული!

ნორჩ ვარდის ყნოსვა—შენთვის სასამო,—
ჩვენთვის-კი მხოლოდ საწამლავია;
ბულბულის სტვენა—გრძნობის აღმძვრელი,—
ჩვენთვის-კი მხოლოდ გლოვის ზარია!

შავ-თვალას მკერდი ვნებით არა სძგერს
საბრალო მისის მიწის შვილისთვის,
ის სხვას უნახავს თვის მხურვალე გულს,
სიყვარულსა ზრდის მხოლოდ უცხოსთვის!

მადნების მთები—სხვისთვის გულუხვნი,—
ტუვილად ახლოსაც არ გვიკარებენ,
მარჯვედ მოქნეულს წერაქვის წვერსა
მოქნევის უმალ დაგვიჩლუნგებენ!

დიდი ხანია, რაც მავნე სულმა
მოაჯადოვა ეს ჩვენი მხარე;
მას შემდეგ სხვისთვის ის გახდა ტკბილი,
ჩვენთვის-კი მხოლოდ ბნელი და მწარე!..

ილ. ჩიქოანი

1890 წ.

---

### ფ ე ჩ ე ი ა

#### I

თუმცა ნათლიას მისთვის მარიამი დაერქმია და დაბადებულთა წიგნშიაც ამ სახელით ეწერა, მაგრამ ყველა ფეჩეიას უძახოდა; ერთხელვე ყველასაგან ფეჩეიას სახელით იყო ცნობილი. რატომ? იმიტომ რომ იგი მოახლის შვილი იყო და განა მოახლის შვილი ღირსი იქმნებოდა იმისთანა სახელის ტარებისა, როგორიც არის მარიამი? ფეჩეია იმ დროს გაჩნდა ქვეყანაზედ, როცა მთელი ერი ორ ნაწილად იყო გაყოფილი—ბატონებად და ყმებად. პირველთ ყოველივე უფლება ჰქონდათ მინიჭებული, მეორეთ-კი არც ერთი. როგორც ვიცით, ბატონები სცდილობდნენ არავითარი მზგავსება არა ჰქონოდათ ყმებთან და ხშირად საქრისტიანო მოწამეთ სახელებსაც-კი არ ატარებინებდნენ უკანასკნელებს. ნამეტურ ქალბატონები იყვნენ გავარჯიშებულნი მოახლეების სახელების გამოცვლაში და რაებს არ არქმევდნენ საწყლებს, ვინ იცის? ზოგი იმათგანი მოახლეს იმისთანა სახელს არქმევდა, რომლის შემწეობითაც თვითონ ნაქებ-ნადიდები გამოდიოდა. ამ ნაირად გაჩნდნენ იაგუნდისები, ვარსკვლავისები, პირიმზისები, პირმთვარისები და სხვები, თუმცა იქნება პირიმზე-კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთის მაშხალა ბრძანდებოდა ის ქალბატონი, რომლის მოახლესაც პირიმზისა ერქვა. ზოგი ქალბატონი-კი, თავის ქებას აღარ დასდევდა და იმას არქმევდა მოახლეს, რაც ენაზედ მოადგებოდა. ფე-

გამოეთხოვოს. აი თუნდა ზეთის ხილის ხე გააშენოს ან სხვა რამეო.

მერე კრების თავმჯდომარე დაეკითხა კრებას, ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი მ—ნ მარიონის აზრის შესახებაო. წამოდგა ბ-ნი ვერმიშევი და სთქვა: ბ-ნ მარიონის აზრით ქუთაისის გუბერნიის ვენახების წამლობა გოგირდის ნახშირ-ბადით იმისათვის არ შეიძლება, რომ ნიადაგი ძლიერ მაგარია და ვერ ჩაატანს ძალასაო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რაც უნდა მაგარი ნიადაგი იყოს, მაინც შეიძლება მისი გაფხვიერება და პატივის შემწეობით გაპოხიერება და განოყიერება. მაშასადამე შესაძლებელია, რომ ჯერ მიწა გავაფხვიეროთ და მერე უწამლოთო. ეს იყო ბ—ნ ვერმიშევის აზრი. კრება დაიშალა 11 საათზედ. ხოლო ამ საგნის შესახებ კამათობა გადაიდო მეორე დღისათვის, რადგანაც კრებამ არა სცნა გამორკვეულად ეს საგანი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. მეჯვრისხევი.** უსანეთობა. 16 და 17 მაისი (გორის მაზრა). წლევანდელი უსანეთობა ისეთი მრავალფერი, გაცოცხლებული და ხალხმრავალი არ იყო, როგორც კვლავ ჩვევია ამ დიდს ქართლურს დღესასწაულს. ვაჭრობაც მცირედ იყო გაცოცხლებული. ხალხი მიბეჟეებული და მოწყენილი იყო. სჩანდა, რომ კახეთის შიმშილობას და ამ ზამთარს გავლენა დაემჩნია იმათთვის. ტყუილად ვიტყვით, ერთი მხარე რომ დაიშმეს და ჩვენში კარგი მოსავალი იყვეს, ჩვენ ვერაფერს შევიმჩნევთო, არაფერი დაგვაკლდებაო. ბუნებას უფრო ფართო კანონი აქვს. ველარც კვლავინდებურ ლხინსა და თამაშს ნახავდით, თუმცა აქა - იქ კანტიკუნტად დაირაც გრიალებდა და ზურნაც ჰყვიტინებდა, ხალხი უფრო ლოთობას ეტანებოდა. ყველაფერი მამასისხლად იყიდებოდა. სამაბაზიანი ციკანი შვიდაბაზად იყიდებოდა; ორგირვანქიან ყველის კვერს სამაბაზ ნაკლებ არ იძლეოდნენ. ნამეტნავად დუქნებში იყო სიძვირე. თხის ხორცი გირვანქა აბაზად იყიდებოდა, აგრეთვე სხვა სანოვაგე. სხვილ-ფეხი საქონელი გაუყიდავი ძალიან ბევრი დარჩა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ წლევანდელი ზამთარი ძალიან სასტიკი იყო, საქონელი ძალიან გამხდარი დარჩა, გამყიდავს მეტად უღირდა, მყიდავს ის ფასი ხელს არ მისცემდა თავისი ანგარიშით, და დიდძალი საქონელი პატრონებმა ისევ უკან დააბრუნეს. მყიდველები წალკელი და სხვა სოფლელი ბერძნები იყვნენ და გორელი ყასბები. უფრო მეტი ბერძნებმა იყიდეს. გამხდარ საქონელს იაფად ყიდულობდნენ, თრიალეთზედ დიდი იალაღი აქვთ, ზაფხულში ასუქებენ და მერე ერთი-ორად ჰყიდიან.

უბედურობა არა მომხდარა-რა, გლეხები ძალიან მშვიდობიანად იყვნენ. თითქმის ჩხუბიც-კი არსად ყოფილა, თუ სახეში არ მივიღებთ ჩაფრების თავნება მათრახების ტყლაში-ტყლუშს საწყალი გლეხების ზურგებზედ. ამისთანა შემთხვევაში წესიერებას ის არღვევს, რომელიც მის დასაცველად არის გაწესებული. განა ჩაფრებს იმისთვის აძლევს გლეხი ჯამაგირს თავის ცარიელ ჯიბიდამ, რომ უსამართლოდ მომდევი და მევე მიბარტყუნე და მიტყაპუნეო. ერთმა ამისთანა ყმაწვილმა ერთს გლეხს ძალად დაუწყო პალახის კონების რთმევა (მუქთად, რასაკვირველია) გლეხი არ ანებებდა. მოუბრუნდა ჩაფარი, ისეთ-ისეთი გადაჰკრა მათრახი საცოდავ გლეხს, რომ გველივით დაკლაკნა. სხვა წესის დამცველებმა და იმათ შორის უფრო მაღალმაც, ხარხარი დაიწყეს, რა კარგი მოგივიდაო, შეუქეს ჩაფარს მათრახის სიმარჯვე და სიფიცხე. ახ, რო ჩვენი გლეხი თვითონ დუნეა, თორემ ამისთანა ფიცხ ყმაწვილებს ციხეში ადვილად მოამშვიდებენ. ურიგო არ იქნება ამ ვაჟ-ბატონებმა საკვლაოდ მეტი ზრდილობა გამოიჩინონ და კაცთმოყვარება და უბრალოდ უდანაშაულო კაცი წარამარად არა ტყეპონ.

ქველიძე

---

**სოფ. რუისპირი** (თელავის მაზრა), 16 მაისი. კახეთის ცა სწორედ მტრად აეკიდა, მუხანათად გაუხდა კახეთის დედამიწას. ამ გვარ ამინდის და ჰავის უსწორ - მასწორობას, შეუწონლობას, როგორიც ამ ერთის წლის განმავლობაშია აქ, მნახველი არავინ არის. ყველა გაკვირვებულია ხან მეტის-მეტის სიცხისაგან, ხან საზღვარ გადასულის სიცივისაგან, ხან კიდევ გამუდმებულის აკდრიანობისაგან. შარშანდელმა ზაფხულ - შემოდგომამ ხალხი გააკვირვა თავის გოლვით, ზამთარმა—ყინვით, თოვლიანობით და ხანგრძლიობით. გაზაფხულია და თავის ცუდის ამინდებით და წვიმებით ცეცხლის თვალში გაატარა ყველა, მეტადრე მიწის მუშა გლეხი ხალხი. მერე, საუბედუროდ, ისეთი წვიმები შამოეჩვია კახეთს, რომლებსაც სეტყვა მოსდევთ ხოლმე. ზოგიერთა სოფელი ისე დასეტყვა, რომ მათ დანახვაზე მტერსაც-კი აეტირება! ამ წვიმებს, რომლებსაც მაისის წვიმობა არაფერში ეტყობათ, თან მოჰყვა ნიაღვრები და ხევების ადიდება. აყეფებულმა ხევებმა ბევრგან ძალიან დიდი ზარალი და უბედურებაც მიაყენა ხალხს.

წარსულ სამშაბათს საღამოზე დაიწყო წვიმა, ჟუჟუნა-კი არა, კოკისპირულს რომ იტყვიან, სწორედ ისეთი, და მთელი ორი დღე და ღამე გადაუღებლივ იწვიმა. მართლაც, ისეთი საშინელი წვიმა იყო, რომ, სადაც წყალი თავის დღეში არავის ენახა, იქაც-კი მდინარეები გაჩნდა, გუბეები დადგა. ამ ავდარმა და წვიმამ აადევა ჩვენი ხევიც, გომბორის მთის ნაჟური, თურდო, რომელმაც ისეთ ადგილებზე მოიწადინა ნავარდი, სადაც მთელი საუკუნე არ უვლია, არ უდენია: პირი იბრუნა რუისპირისაკენ, მოხვდა ფარდიან და ღიჭიან ფართო ჰკლას და, ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს, რაც დღე ამ ჰკლაში გამართული წისქვილებს და გაშენებულ ვენახებს იმან დააყენა: სად წისქვილები და მარნები ანგრია, სად ვენახები და ზვრები წალეკა! მეწისქვილენი და მეზვრენი ძლივ-ძლიობით-ღა გადაურჩნენ უბედურებას. აქედამ ალაღებულმა თურდომ ჩაითამაშა სოფ. ახატლისაკენ, მიუხტა აზ. მგალობლიშვილებს სახლ-გარეშემოში და საძირკვლის მინგრევას აპირობდა, თუ რომ ხალხს არ ეშველა. თურდოს ახირებულის სეირნობის მსხვერპლი შეიქმნა სამი თუ ოთხი ქვითკირის წისქვილი და მრავალი აშენებული და აუშენებელი მამული.

ერთის წისქვილის პატრონს, თელავის მოქალაქეს, რომლის წისქვილიც ძირიან-ფესვიანად მოჰგლიჯა თურდომ, თურმე სამოცი კოდი პური ჰქონდა წისქვილის ბეღელში მძიმედ დაკრძალული. ვინც პურის მყიდველი მიუვიდოდა, ყველას თურმე ეუბნებოდა: სანამ კოდი ხუთმანათად არ გახდება, მანამ პურს არ გავყიდიო! ეხლა-კი, როცა თურდომ უსასყიდლოდ ჩამოაცალა და ბევრის მდომელმა ცოტაც დაჰკარგა, ხალხი ნიშნს უგებდა: ეხლა გაყიდე კოდი ხუთმანათადაო!

მეორე მაგალითიც მოქალაქის თანაგრძნობისა უპუროობისაგან გაჭირვებულთადმი: ერთს თელაველს მთელი ერთი სოფელი ხელთ უჭერია თავის ბედ-ქსელების წყალობით. სხვა დოვლათთან, რასაკვირველია, პურიც მრავალი აქვს. ამ წინაზე, როცა თელავის ყანთარზე გასასყიდი ფქვილი გამოლეულიყო, გამოქანებულიყო ჩვენი ნატვრის თვალი—მოქალაქე სოფლისაკენ, ებრძანებინა ბიჭებისათვის: პური ამოიღეთ, დაფქვით, დაუდეთ ურემზე და გადმოიტანეთ თელავში, ფქვილის მაზანდამ აიწიაო. ბიჭებსაც აესრულებინათ „ხაზეინის“ ბრძანება, დაეტვირთათ რამდენიმე ურემი და წაეღოთ თელავისაკენ. ამ დროს შუა გზაზე თავიანთ „ხაზეინი“ წინ შემოჰყროდათ და ეთქვა: ურმები უკანვე დააბრუნეთ, ფქვილი ბევრი მოიტანეს და გაიაფესო. ჩვენის სანატრელის მოქალაქის ბიჭებმა ფქვილით დატვირთული ურმები ისევ რუისპირში მოიტანეს და შეინახეს დრომდე. მართლაც, ამ ბოლოს ცუდი ამინდების და წვიმების დროს ჩვენს სასიქადულო მოქალაქეს ხელ მეორედ გადაუტანია თავისი ფქვილები თელავში გასასყიდათ: „ჭკვაში“ თუ დაუჯდა ფქვილის მაზანდა, ალბად!

აი, ამისთანა მოქალაქეები-კი მრავლად გვყავან, და კახეთსაც იმიტომ უჭირს ამ ჟამად, თორემ აბა ბ-ნ ოსკანოვისთანა და მამულოვისთანა მოქალაქეები მოგვეპოვებოდნენ, თუ კახელნი ან კრინტს დაჰძრავდნენ თავის გაჭირვებაზედ.

---

### „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ მიმართ

(ხმა პროვინციიდამ)

ძლივს მოაღწია ჩვენამდის აკაკის თხზულებამ, რომელიც გამოცემულია „ქართველთა ამხანაგობისაგან“. მოაღწია და რა გამოვიდა? წიგნების სყიდვა უფრო იმათ შეუძლიანთ, ვისაც მომეტებული ნაწილი ლექსებისა წაუკითხავს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთში და ან ვისაც დროს გასატარებლად უნდა წიგნები. პატივცემულმა „ამხანაგობამ“ გამოსცა ყველა ჩვენ საუკეთესო მწერალთა თხზულებანი, სახელდობრ: ილ. ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ა. ყაზბეგისა, ი. [illegible], დ. [illegible] ზოგისა—სრულად და ზოგისა—ნაწილი. ყველა ეს „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემა იქამდის ძვირად ფასობს, რომ საზოგადოდ პროვინციელი მკითხველი და განსაკუთრებით მოზარდი თაობა უნებურად მოკლებულია ამ თხზულებათა კითხვასა. როგორც გამოცემულნი არიან ამხანაგობისაგან, იქმნება დანიშნულ ფასზედ ნაკლებ გასყიდვა არ შეიძლებოდა, მაგრამ არ შეიძლება არა სთქვას კაცმა, რომ ამხანაგობას გამოცემის დროს სრულიად არ მიუღია მხედველობაში მკითხველთა ის უმრავლესობა, რომლისათვისაც აღმზრდელი მნიშვნელობა ექნებოდათ ამ თხზულებათა და, მაშასადამე, რომლისათვისაც უფრო საჭიროა და სასარგებლო. თუ ასე არ იყოს, „ამხანაგობა“ ზოგიერთს გამოცემის დამაძვირებელს გარემოებას გზას აუხვევდა. ამხანაგობას რომ სიიაფე ჰქონოდა სახეში, თავს დაანებებდა: 1) სათაურ ასოების არშია ყვავილებსა, რომელიც მთავარი მიზეზი უნდა იყოს სიძვირისა; 2) თვითო პაწია ლექსის ცალკე გვერდზედ ბეჭვდას და 3) საუკეთესო ქაღალდსა. მე ვგონებ, ეს სამი გარემოება რომ არ იყოს გამოცემაში, წიგნები ბევრით იაფად ეღირებოდა.

ყველანი სჩივიან, ქართულად ლაპარაკი არ გვეხერხებაო და ეს მოგონილი არ არის, ნამდვილია. ბევრს, ძალიან ბევრს არ შეუძლიან, სურვილიც რომ ჰქონდეს, ქართულად თამამად გამოსთქვას აზრი. ამის მიზეზი მრავალია და, ჩემის აზრით, ყველაზე უმთავრესი-კი ის არის, რომ მოზარდი თაობა არ კითხულობს საუკეთესო თხუზულებათ. არ კითხულობს კიდევ იმიტომ, რომ სიძვირისა გამო ეს თხუზულებანი საკმაოდ არ ვრცელდება ხალხში. მოგეხსენებათ, მოზარდობა ისეთი ხანაა, როცა ყოველი საუკეთესო წყობილ-სიტყვაობა ცხოვლად დააჩნდება სულსა და, პოეტისა არ იყოს, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება, საშვილი-შვილოდ გარდაიცემა“. ვისაც მოზარდობაში არ შეუთვისებია რომელიმე ენა და არ უხმარია მსჯელობის იარაღად, ის დიდობაში ძნელად - ღა შეითვისებს, სურვილიც რომ ჰქონდეს.

ბევრი გარემოება უშლის ხელს და თვითო-ოროლა რჩეული თუ დასთრგუნავს ყველა დაბრკოლებას, თორემ უმრავლესობას ხელში

---

ჩეიას ქალბატონიც სწორედ ასე მოქცეულა, როცა თავის მოახლისთვის ფეჩეია დაურქმევია.

ფეჩეიას ქალბატონიო, ვამბობ, თუმცა ყველამ კარგად იცოდა და არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენდა, რომ ფეჩეიაცა და მისი ქალბატონიც, მაკა სხაპურიძის ასული, ერთისა და იმავე როსტომ სხაპურიძის შვილები იყვნენ. როგორაო? გაკვირვებით იკითხავს გულ-უბრყვილო მკითხველი. სულ ადვილად. განა მართლა ამისთანა სასწაულები ჰხდებოდა ნეტარ - ხსენებულის ბატონ - ყმობის დროს?

II

როსტომ სხაპურიძის მამა თემყვა სხაპურიძე, ან თემყვა სხაპურია, როგორც იმას უძახოდნენ სამეგრელოში, იყო იმ მოხერხებულ მეგრელთაგანი, რომელთაც სამეგრელოს უკანასკნელის მთავრების დროს, როცა ისეთი არეულობა იყო სემეგრელოში, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, შეიძინეს ხარისხიც, ყმაცა და მამულიც. თემყვა მღვდელი იყო და ერთ-ერთ სამეგრელოს ჭყონდიდლის შემწეობით, რომელიც შვილს უნათლავდა იმას, აზნაურობასაც-კი აჰკრა ხელი. ხალხს სიცილად არა ჰყოფნიდა თემყვას გააზნაურება და შემდეგი ლექსიც-კი გამოუთქვა:

ახალი ქინოს ქუარე სხაპურია პაპა:
ჯოღორქ ეკუუსოფას მუში ახალი კაბა!..*)

მაგრამ თემყვა ხალხის ხმას ყურადღებას არ აქცევდა და თავის საქმეს იკეთებდა.

ამ ნაირად თემყვას ვაჟი როსტო უკვე აზნაური იყო და მღვდლობა აღარ უძებნია. როსტომ იგრძნო, რომ სამეგრელოს თვით-მმართველობის დღეები დათვლილია, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთის სამფლობელო გახდება ოდიში და პირი რუსებისკენ იბრუნა. იგი შეიქმნა ერთ-ერთ ყურ-მოჭრილ მონათაგანი რუსეთის მთავრობის მოადგილეთა სამეგრელოში და ეხმარებოდა უკანასკნელებს რუსულ წეს-წყობილების შემოღებაში, ამ ნაირად მიიქცია როსტომ მთავრობის ყურადღება, როგორც ერთგულმა კაცმა, და ჩინი და ჯილდო დაიმსახურა. რა-კი ასე მოაწყო თავისი ბედ-იღბალი, რომ ერთ უპირველეს კაცთაგანი გახდა სამეგრელოში, გვარიც გაილამაზა და როსთო სხაპურიასაგან როსტომ სხაპურიძე გაიკეთა. ასე იმიტომ მოიქცა როსტომი, რომ სრულიად დაეკარგა მსგავსება თავის სახლის-კაცებთან, რომელნიც ისევ ისე გლეხები იყვნენ. ამ ნაირად ბევრი სხვებიც მოიქცნენ სამეგრელოში და გვარის დაბოლოვება „რია“ „რიძეთ“ შესცვალეს, რომ განესხვავებინათ თავისი გვარი იმავე გვარის გლეხების გვარისაგან.

III

უგვარო კაცი, შემთხვევით გადიდკაცებული, ყოველ დიდკაცზედ უარესია. იმას უნდა, რომ არავინ შეამჩნიოს, თუ მიჩვეული არ არის დიდკაცობას და კიდევ უფრო გადამეტებით დიდკაცობს. გუშინდელი გააზნაურებული და გაპატონებული როსტომ სხაპურიძეც ასე იქცეოდა. იგი სცდილობდა მისი სახლობა არ ჩამოვარდნოდა ძველის მებატონეების სახლებს და ბიჭებითა და გოგოებით ავსებდა. ფული ბლომად ჰქონდა როსტომს და სადაც-კი წაეწეოდა, ჰყიდულობდა ყაზახის შვილებს; ნამეტურ გოგოებს ჰყიდულობდა როსტომი და მოჰყავდა სახლში. როსტომს ცოლი ჰყავდა, მაგრამ რის მებატონე იქმნებოდა, თუ მარტო ცოლს დასჯერდებოდა და საყვარლებს არ გაიჩენდა. „შენ დაბერდი და თავი მომაბეზრეო“, ეტყოდა ხოლმე ცოლს ურცხვად როსტომი: „მე-კი ისევ მიდუღს სისხლი და უნდა დავიკმაყოფილო ხოლმე მოთხოვნილებაო“. ცოლსაც რა უნდა ექმნა და ითმენდა ყველაფერს.

ერთ ამისთანა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ნაყოფი იყო ჩვენი ფეჩეიაც. როცა ფეჩეია წამოიზარდა და ლამაზი და მკვირცხლი გოგო გახდა, ერთმა როსტომის კანონიერმა ასულმა აირჩია მოახლედ. ფეჩეია, რასაკვირველია, დაემორჩილა ხვედრს და ერთგულად ემსახურებოდა თავის ბატონსა და დას მაკას. მაკასაც შეუყვარდა თავისი „სისხლი და ხორცი“ როგორც თვითონ უძახოდა ფეჩეიას, და შვილივით ზრდიდა.

როცა მაკა გათხოვდა, ფეჩეია, რასაკვირველია თან წაიყვანა. მზითე-

*) ახალი აზნაურია სხაპურია მღვდელი, ძაღლმა შემოახიოს მისი ახალი კაბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო სურვილი რჩება.

„ქართველთა ამხანაგობის" განზრახვა—გამოსცეს ყველა საუკეთესო მწერალთა თხზულებანი—პატიოსანია და ღირსი დიდის მადლობისა საზოგადოებისაგან, მაგრამ, რადგანაც ღირსის ყურადღების ღირსია საზოგადოდ ყველა წოდების მოზარდი თაობა და განსაკუთრებით სოფლელი მკითხველი, რომელნიც მკითხველთა უმრავლესობას შეადგენენ, ამისათვის ვსთხოვთ, ჩვენ, პროვინციელები, ამხანაგობას, რომ ჩვენდა შესაფერადაც გამოსცეს იგივე თხზულებანი. ჩვენში მდიდარნი ცოტანი არიან და ღარიბნი-კი ბევრნი. უკანასკნელთათვის გამოცემული წიგნი მანეთის ნაცვლად უნდა ღირდეს ექვსი შაური—ორი აბაზი. რომ ამისთანა გამოცემა შეუძლებელი არ არის, ამაში გვარწმუნებს წიგნი „აკლდამები" ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალების ნათარგმნი, გამოცემული ქუთაისში 1893 წელს. ეს წიგნი შეიცავს 444 გვერდს და ღირს 50 კაპ. ილ. ჭავჭავაძისას თხზულებათა თვითო წიგნი შეიცავს სამასამდე გვერდს და ღირს მანეთი. აკაკის თხზულებათა ორივე წიგნი შეიცავენ უმეტნაკლებოდ თვითო 316 გვერდს (ეს-კი გადაჭარბებული ანგარიშია, რა იქნებოდა, ერთი გვერდით მეტ-ნაკლები ყოფილიყო!) და ღირს თვითო მანეთი. ორივე წიგნი აკაკისა შეიძლება მოთავსებულიყო 440 გვერდზედ. ესევე ითქმის ილ. ჭავჭავაძის პირველ წიგნზედ და სხვ. გამოდის, ასე რომ დაიბეჭდოს, ორი წიგნი აკაკისა 50—70 კაპ. შეიძლება გაიყიდოს.

თანდათან სოფლებში გაიღვიძა წიგნების კითხვის სურვილმა და არ არის ფასით შესაფერი გამოცემა ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად. თუ ამ მხრივ მზრუნველობამ დაიგვიანა, ეს სურვილიც დიდ ხანს არ შეირჩენს თავის სახელსა.

დიდი იმედი გვაქვს პროვინციელებს „ქართველთა ამხანაგობისა", რომ იგი მალე მოგვაწვდის იაფ-ფასიან წიგნებად წარჩინებულთა მწერალთა თხუზულებასა. უკეთუ ჩვენი თხოვნა შეიწყნარა ამხანაგობამ და იაფ-ფასიან გამოცემას ვეღირსენით, საჭირო იქნება პირველს წიგნებს ჩაერთოს მოკლე ბიოგრაფიები, თუნდა ორგვერდიანი; ამასთან აღინიშნოს ლექსების დაწერის დრო, რომელიც მკითხველს ძალიან შეეშველება, რომ აზრი უფრო ცხოვლად წარმოიდგინოს.

ნადიკვრელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საყურადღებოა წერილი სომხურის გაზ. „არძაგანკისა" ტფილისის ქალაქის ხმოსანთა არჩევანების შესახებ. აი რას ამბობს გაზეთი:

ჩვენს მუდმივს მკითხველებს ეჭვი არ ექმნებათ, რომ 16 მაისის არჩევანები არ ეთანხმება არც ჩვენს სურვილს, არც ჩვენს აზრს იმის შესახებ, თუ რა ნაირად შედგარი საბჭო უფროა სასურველი ჩვენთვის. ეს ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ არა ერთხელა და ორჯელ გამოგვითქვამს.

საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ ეგვარის არჩევანები, არა თუ არ შეეწონება აზრს სამართლიანობისას, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება სომეხთა ერის კარგად შეგნებულს ინტერესებს, რომელიც არც ტფილისისა და არც რომელსამე საბჭოშია ერთად თავ-მოყრილი. შეუძლებელია და არც სათანადო საქმეა ერის ინტერესებად მივიჩნიოთ ინტერესები იმ კერძო კაცთა, რომელთაც შეადგინეს დასი, ეგრედ წოდებული, „дворцовые номера"-ბი, რაღაც „რეპრესალიების" სახელით. ჩვენი და ქართველების საერთო უბედურება ის არის, რომ როგორც ჩვენ, ისე იმათაც არა გვყავს ისეთი საკმაო რიცხვ-მრავალი ინტელიგენცია, რომელიც ღირსი იყოს თავ-თავის ერისა და შეეძლოს მეთაურობა და წინამძღოლობა გაუწიოს თავ-თავის საზოგადოებასა. ის, რაც ინტელიგენციის სახელწოდებით, ცხოვრების ზედა-პირს მოუტივტივებია და ქავად მოსდებია საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზს ჩვენშიაცა და მათშიაც, თითო-ოროლას გარდა, სრული დიპლომიანი და უდიპლომო უბადრუკობა და არა რაობაა. თუ ამ უბადრუკთ რაიმე პატივი და სახელი აქვთ, ეგ იმის ბრალია, რომ მეტად დაბლა სდგას გონებითა და ზნეობით საზოგადოება, რომელშიაც ყოველს „ბლიაძეს" *) იმედი აქვს, რომ საზოგადოება თანაუგრძნობსო.

გაზეთი ამბობს ამასთანავე, რომ თუ ასეთი არა-სასურველი შედეგი ჰქონდა არჩევანებს 16 მაისს, ამისი ბრალი არ დაედება არც სომეხთა და არც ქართველთა საზოგადოებას ტფილისისასაო. 16 მაისის ამბავი ქართველთა და სომეხთა ინტელიგენციის საქმეა თავიდამ ბოლომდე და თითოეული დასი თავის თავს უნდა დაემდუროს და არა მოწინააღმდეგეთა დასსაო, სომეხნი—სომეხთა და ქართველნი ქართველთა დასსაო.

ბუნების წესი და კანონაა, რომ ვერც ერთი დაწესებულება ვერ ასცდება კიცხვასა და საყვედურსა. ამ კანონს ექვემდებარება, რასაკვირველია, ტფილისის საბჭოც. ამიტომ თუ იქ, სადაც სხვა-და-სხვა ტომნი სცხოვრობენ, საბჭოში მარტო ერთის ტომის წარმომადგენელნი არიან, ყოველივე საყვედური, კიცხვა და კილვა დაატყდება თავს იმ უმრავლესობას, რომელიც ხელ-მძღვანელია და მეთაური დაწესებულებისა. ამიტომ არა თუ სამართლიანობის ინტერესები, არამედ საპოლიტიკო შნო და უნარიც იმასა თხოულობს, რომ მუშაობა განაწილებულ იქმნას ყოველთა-შორის, რათა მათ განაწილდეს პასუხის გებაცა.

ტფილისის შესახებაც, რომელსაც ათას ნაირი საჭიროება და მოთხოვნილება აქვს, უნდა ვსთქვათ, სომეხთა უმაღლესი ინტერესები თხოულობს, რომ საბჭოს მოქმედების გამო წარმომდგარი პასუხის გება, დიდება და სახელი მარტო სომეხთ-კი არ ეკუთვნოდეთ, არამედ სხვა ჩვენთა მოქალაქეთაც, ქართველთა და რუსთაც. თქმა არ უნდა, რომ იმ იდეალების განხორციელება, რომელსაც ერთ ნაირად ეტანებიან სომხნიცა და ქართველნიც და რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის საერთო წარმატების საქმესთან, დიდად დამოკიდებულია იმაზედაც, თუ რა ურთიერთობა აქვთ სომხეთა და ქართველთ. ამიტომ გაგებულნი და შორს-მხედველნი უნდა ყოვლის ღონისძიებით სცდილობდნენ, გააფართოვდეს ის ასპარეზი, რომელზედაც ერთად შესაძლოა გარჯა და მხნეობა საყოველთაო სასარგებლოდ, ერთმანეთის ხალისითა და წადილებით. ცას ქვეშეთში ჯერ კიდევ ბევრია ადგილი ყველას ბედნიერებისათვისა.

ავტორი წერილისა ამბობს შემდეგ, რომ სიებით სომეხნი მეტად ბევრნი იყვნენ, ვიდრე სხვანიო. სომეხნი 1285, ანუ 53%, რუსნი 506—21%, ქართველნი—381—16% და სხვ. ცხადია, რომ, როცა ასეთი ძალა ჰქონდათ სომხებს, дворцовые номера-ს დასს შიში არაფრისა არ უნდა ჰქონოდა და საჭირო იყო სამართლიანობა გამოეჩინა და უმრავლესობას თავაზიანობა უნდა გაეწია უმცირესობისათვის, მის საისტორიო უფლებათათვის. ექვსის ქართველის მაგიერ რომ 26 ქართველი ამოერჩიათ, მაინც უმრავლესობა სომეხთა მხარეზედ იქნებოდა იმ დაწესებულებაში, სადაც ოთხმოცი კაცია წევრადაო.

ჩვენ არ გავიმეორებთ იმ შეცდომასაო, ამბობს ბოლოს გაზეთი, რომელიც მოუვიდა „ივერიაში" ბ-ნს მეველეს, და ქართველთ ერს არ დავდებთ ბრალს, თუ ქართველთ ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ვერ გაიგო გარემოება საქმისა და ვერ მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო არჩევანების დროს.

ცხადია, რომ გამოაშკარავდა თუ არა სურვილი дворцовые номера-ს დასისა, ქართველთ უნდა მაშინვე მოექმნათ მოკავშირენი და მარტო თავის ძალ-ღონეს ამარად არ უნდა დამდგარიყვნენ. ქართველთ პოზიცია უნდა სხვათა პოზიციას მიჰკედლებოდა და არას გზით ცალკე არ უნდა გამდგარიყო.

დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ არ შეიძლება ვიფიქროთ, ვითომ ქართველთ დასს ეს არა სცოდნოდა და არ მოეძებნა მოკავშირენიო, მაგრამ,—დახეთ იმათს ბედს! ისეთს მოკავშირეებს წააწყდნენ, რომელთაც ვითომ სომეხთ ახალგაზდებათ მოაქვთ თავი,—თუმცა-კი საკმაოდ გამელოტებულნი არიან—და რომელნიც შინ გაზრდილ ხუმარებს უფრო ჰგვანან, და აი სწორედ ამათ შესახებ გადასწყვიტა ქართველთა დასმა (იხ. „ივერია" № 100), ყველაზედ უკეთესნი წარმომადგენელნი ესენი იქნებიან სომეხთა ერისა საქართველოს სატახტო ქალაქისათვისაო. სასაცილოა ეს ამბავი და დარწმუნებულნი ვართ, პირველი თვით ხელმძღვანელი „ივერიისა" იცინებს ბევრს, რომ ასეთს გარემოებაში ჩავარდა ქართველთა დასის სტრატეგიის გამო, მაგრამ თან ეს ამბავი კარგი და ახალი დასამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ პოლიტიკაშიაც-კი არა-ყოველი ხერხია გამოსადეგი სახმარებლადაო.

*) ქართლელი მესტვირე და მელექსე იყო. რედ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მკითხველს უკვე მოვახსენეთ მოკლედ შინაარსი იმ სიტყვისა, რომელიც ზოლამ წარმოსთქვა პარიჟის სტუდენტთა „საზოგადოების" კრებაზედ. დღეს ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ამ საზოგადოებაზედ.

ეს საზოგადოება სულ რამდენსამე წლის წინად დაარსდა და ამ ჟამად უკვე ხუთი ათასი წევრი ჰყავს; საზოგადოებას დაქირავებული აქვს ერთი დიდი სახლი, აქვს თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა და სამკითხველო. საზოგადოების წევრნი კვირაში ერთხელ იკრიბებიან და კითხულობენ რეფერატებს სხვა-და-სხვა საგნებზედ. საზოგადოების წესდებით, კრებებზედ აკრძალულია კამათობა სარწმუნოებისა და საპოლიტიკო საქმეებზედ, რადგანაც „საზოგადოებას საგნადა აქვს ხოლო სტუდენტთა ერთობისა და თავის ინტერესების დაცვა".

სულ ცოტა ხანში ამ საზოგადოებამ მიიზიდა ხალხისა და მთავრობის სიმპატია. მთელი საფრანგეთი ამ ჟამად დიდს პატივსა სცემს სტუდენტთა „საზოგადოებას" და თვალ-ყურს ადევნებს ყველა იმას, რაც ამ საზოგადოების კრებებზედ იქმნა წარმოთქმული, ან წაკითხული. საკმარისია მოგახსენოთ, რომ სტუდენტთა „საზოგადოებამ" ძლიერ შეუშალა ხელი ბულანჟელების საქმეს. თითონ ბულანჟელები ამბობენ, ჩვენი დამარცხება პარიჟის სტუდენტებისა და „საზოგადოების" წევრთა საქმეაო.

რესპუბლიკას ძლიერ მოსწონს ეს საზოგადოება და ამ ორის წლის წინად გამოაცხადა, სტუდენტთა საზოგადოება ძლიერ სასარგებლო საზოგადოებააო, და გადასწყვიტა ყოველ წლივ სუბსიდია მიეცეს. საზოგადოების ბანკეტზედ რესპუბლიკის პრეზიდენტი და საერო განათლების მინისტრი მუდამა ჰგზავნიან ხოლმე თავიანთ წარმომადგენელთ. საზოგადოების დელეგატებსაც მუდამ მიიწვევენ ხოლმე რესპუბლიკის ყველა ოფიციალურ დღესასწაულებზედ.

—

11 მაისს სასამართლომ გაარჩია საქმე არტონისა, რომელიც ჯერაც ვერსად ვერ უპოვნიათ. არტონს ორი დანაშაულობა ბრალდებოდა: ა) დინამიტის საზოგადოების ფულის გაფლანგვა და ბ) დეპუტატის სან-

---

ვის სიაში ფეჩეია ჩასწერეს, როგორც მოჯალაბის შვილი, მაკასთვის მოახლედ გატანებული, თუმცა, როგორც წინეთაც ვთქვით, ყველამ იცოდა, ვინ იყო ფეჩეია და რა იყო მაკასი.

რამდენიც იზრდებოდა ფეჩეია, იმდენი მთვარესავით ივსებოდა, ვარდივით იშლებოდა და მალე მიიქცია სოფ. ს—ნის ახალ გაზდა ბიჭების ყურადღება სადაც მაკა იყო გათხოვილი. როცა ფეჩეია კვირა-უქმე დღეს „ობირეშში" (საცეკვაო და სასიმღერო ადგილი) გამოვიდოდა და ლეკურს დაუვლიდა, ყველას იმაზედ რჩებოდა თვალი. ბევრ ყმაწვილ ბიჭისთვის აუტოკებია ფეჩეიას გული, ბევრის გულში აუნთია სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ ფეჩეიას თავი მაგრად ეჭირა და არავის არ ეხლოვდებოდა. ფეჩიამ კარგად იცოდა, რომ ყველა ერთის წუთით დაახლოვებას სცდილობდა მასთან და ცოლად არავინ შეირთავდა, როგორც უკანონო შვილს, და ამიტომაც განზედ უდგებოდა ყველა ახალგაზდა ბიჭებს; ყველას ემალებოდა, ხელიდამ უსხლტებოდა.

მხოლოდ ერთ ახალგაზდას ვერ მოუხერხა დამალვა ფეჩიეამ, ვერ გაუსხლტა ხელიდამ. ეს ახალგაზდა იყო მაკას მულის წული თომა, რომელიც მაკას ქმრის სახლში იზრდებოდა და ფეჩეიასთან ერთად სცხოვრობდა.

თომას შეუყვარდა ფეჩეია და ეფიცებოდა, ცოლად შეგირთავო. ფეჩეიამ იცოდა, რომ ტყუილად ფიცულობდა თომა, რომ დედ-მამა მასზედ ჯვარის დაწერის ნებას არ მისცემდა და სცდილობდა, თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. თომა 15-16-ის წლის ბავშვი იყო და თავდავიწყებამდის მიიყვანა ფეჩეიას სიყვარულმა.

მაკამ შეამჩნია, რომ თომას ფეჩეია უყვარდა და მაშინვე მისწერა თომას დედას, შვილი წაიყვანე, რადგან გიკვდება ფეჩეიას სიყვარულითაო. თომას დედა იმ წამსვე მოიჭრა და წაიყვანა თომა. წასვლის დროს თომამ უთხრა ფეჩეიას, უშენობა არ შემიძლიან და, ასე იქნება, თუ ისე, შენ უნდა შეგირთოვო. ფეჩეიას არაფერი უთქვამს მაგიერად თომასთვის, მხოლოდ, როცა დაინახა, რომ თომა მასთან აღარ არის, გული ეტკინა. ფეჩეია მიეჩვია თომას, მიეჩვია იმის აღფრთოვანებულ სიტყვების სმენას და დიდად დააკლდა იგი. მოშორების შემდეგ იგრძნო ფეჩეიამ, რომ თვითონაც ჰყვარებია თომა და გადასწყვიტა, თუ არა მას, სხვას აღარ წაჰყოლოდა. გადასწყვიტა და ელოდა, აგერ მოვა თომა და წამიყვანს, თუ ნებით არ გაუვიდა, ძალით მომიტაცებს და შემირთავსო, მაგრამ თომა არ მოდიოდა. მაკას შვილი არ ჰყავდა და შვილად მარტო ფეჩეიას უყურებდა. იმან ბევრი კარგი საქმრო გამოურჩია ფეჩეიას, მაგრამ ფეჩეია მითხოვების უარს ამბობდა.

—შენ გამზარდე და არ მოგშორდები, შენთან მოვკვდებიო, ეუბნებოდა ხოლმე ფეჩეია მაკას; ის-კი არა, თომას უცდიდა, მაგრამ თომა არსად იყო. ბოლოს გაიგო ფეჩეიამ, თომასთვის საცოლო გამოურჩევია დედ-მამას და არც თომა ამბობს ცოლის შერთვის უარსო; გაიგო და გული ნაღვლით აევსო, მაგრამ რა უნდა ექმნა.

— ღმერთმან მშვიდობა მისცესო, ამბობდა ფეჩეია, ღმერთმა გააბედნიეროს და როგორც სურდეს, ისე აცხოვროსო; მე რა მადლი მიმიძღვის ღვთის წინაშე, რომ გავებედნიერებინე ღმერთს; ცოდვის შვილი ვარ და ტანჯვით უნდა გავატარო ჩემნი დღენი, რომ იქ, იმ სოფლადაც, არ მიწიოს ცოდვამ და იქ მაინც არ წავწყმდეო.

თუმცა ასე ამბობდა ფეჩეია და თავს ინუგეშებდა, მაგრამ წარმოუდგენელია ის ტანჯვა, რომელსაც ჰგრძნობდა, როცა შეიტყო თომას ჯვარიც დაუწერია. ამ დღიდამ ფეჩეია აღარავის უნახავს გარედ გამოსული. ის დღე მუდამ სახლში იჯდა და მწარე ფიქრებში იყო ხოლმე გართული. მხოლოდ ს—ნის ეკკლესიის ზარის ხმა მოიყვანდა ხოლმე გონზედ ფეჩეიას და ის მაშინვე მირბოდა საყდარში. ფეჩეიას მოთხოვნილებად გადაექცა საყდარში სიარული, რადგან მხოლოდ იქ გრძნობდა თავისუფლად თავს და ცხარის ცრემლით ევედრებოდა ღმერთს; ევედრებოდა, თუ ცოდვილი იყო აქ, ამ ქვეყნად ხორცისთვის მოენანებინა და სულისთვის-კი აღარ მოეკითხა...

დუტუ-მეგრელი

(შემდეგი იქნება)

აქრთამვა. პირველ დანაშაულის სასამართლომ არტონს მიუსაჯა თორმეტის წლით კატორღაში გაგზავნა და 3,000 ფრანკი ჯარიმა. მეორე დანაშაულისთვის-კი—სამოქალაქო უფლებათა 5 წლით ჩამორთმევა და 400,000 ფრანკი ჯარიმა.

**ინგლისი.** ლონდონიდგან იუწყებიან, რომ გლადსტონს მოლაპარაკება ჰქონდა დედოფალთან შესახებ იმისა, დათხოვნილ იქმნას თუ არა პარლამენტი, თუ ვინიცობაა ზემო პალატამ ჰომრულის ბილლი არ შეიწყნარაო. ამბობენ, ვითომ მინისტრს უთქვამს, პარლამენტის დათხოვნა საჭირო არ არისო, ხოლო დედოფალი-კი სხვა აზრისა ყოფილა და ამტკიცებს, საჭიროა პარლამენტი დავითხოვოთ და ახალის პარლამენტის არჩევით თვით ერმა გადასწყვიტოს ჰომრულის ბედ-იღბალიო.

**ავსტრ-ვენგრია.** ვენაში მომხდარ მინისტრთა კრებამ განიხილა საქმე ჩეხიის სეიმში მომხდარ უწესოებისა. ამ საქმის გამო დიდი კამათობა ასტყდა; ზოგი ამტკიცებდა მლადოჩეხების დეპუტატები სამართალში მიეცეთო. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, ეს საქმე ჩეხიის მთავრობამ განიხილოსო; მლადოჩეხების დეპუტატებს სამართალში არ მისცემენ, ხოლო მინისტრთა კრებას განზრახვა აქვს შეამუშაოს ყოველ გვარი ღონისძიებანი მლადოჩეხების წინააღმდეგ.

## წვრილი ამბავი

მოგეხსენებათ, რომ ინგლისელები ანგარიშის ხალხია. ადამიანსაც-კი ფულითა ზომავენ. კაცი—ამბობენ ინგლისელები—იგივე მუშა ცხოველია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადამიანი უფრო მეტსა მუშაობსო. ამ მხრივ ფასი ასე აფასებს ადამიანს: ახლად დაბადებული, რომლის მშობლები კიდევ მუშაობენ, ჰღირს 25 დოლარი, ხუთის წლისა—250 დოლარი, ათისა ცხრა-ოთხად ჰღირს და, როცა მუშაობა შეუძლება, ჰღირს 800 დოლარიო. 22 წლისა—1,200 დოლარი. ეს არის უმაღლესი ფასი მუშა კაცისაო. ამის მერე თანდათან სუსტდება და 50 წლისა მხოლოდ 600 დოლარი-ღა ჰღირსო. 70 წლისა 500 დოლარიც აღარა ჰღირს და მეტისა ხომ ზარალის მეტს არას მოუტანსო. გლეხური სალხა ამბობს ფასი—მეტისმეტად უშვერთესად იქცევა, რომ სამოც-და-ათ წლეწადს ზევით მოხუცებულებს ხოცავსო.

— კახურ ღვინოს თანდათან ბაზარი ეძებნება სამზღვარ-გარეთაც. ამ ჟამად პეტერბურგში მიუღიათ 30 ტიკი კახური ღვინო. ეს ღვინო გემით უნდა გაეგზავნოს ლონდონს ინგლისის პარლამენტის სამ წევრისთვის. ეს ღვინო ინგლისის პარლამენტის წევრთ იმიტომ დაუბარებიათ, რომ პრინც ბონაპარტს დაურწმუნებია იმათთვის, კახური ღვინო საფრანგეთისა და რეინის ღვინოებს მირჩევნიაო, და იმათაც დაუბარებიათ სადეგლად. ღვინო ჯერ პეტერბურგში იმიტომ გაგზავნეს, რომ ჩრდილოეთ გზით წაიღონ, რადგანაც სიცხისა გამო შავ და ხმელთა შუა ზღვით რომ წაეღოთ, იქნება გაფუჭდესო.

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ამ წერილის დაბეჭდვით შემიმოწმოთ ის გარემოება, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ვრცელი წერილი ბ-ნ თ. ჟორდანიას საპასუხოდ არ იბეჭდება მხოლოდ იმიტომ,—როგორც ამიხსენით,—რომ ასეთი გძელი წერილები, მერე ისეთს სპეციალურ საგანზედ, როგორც გრამმატიკაა, არ წარმოადგენენ შესაფერს მასალას ყოველდღიურ გაზეთისას.

ხოლო თვით ბ-ნს თ. ჟორდანიას უნდა მოვახსენოთ, რომ მასმა წერილებმა არა თუ იოტის ტოლათაც არ შეცვალეს ჩვენი აზრი მისს გრამმატიკაზედ, არამედ უფრო განამტკიცეს ახალის საბუთებით. ამას დავამტკიცებთ კიდეც, როდესაც გარემოება ხელს შეგვიწყობს.

პაატა

# დეპეშა

21 მაისი

**ჰამბურგი.** სასანიტარო მხრივ აქაურობას; არა უჭირს-რა; შესაძლებელია, რომ ერთის გარდა ხოლერით აღარავინ გახდეს ავად.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში ზღვათა მინისტრმა წაიკითხა მოხსენება ვენერალ დოდსისა; ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ექსპედიციას ერთსა და იმავე დროს უხმარია ჩვეულებრივი და ისეთი თოფის წამალიც, რომელსაც ბოლი არ უჩნდება სროლის დროს. აღმოჩნდა, რომ ის ჯარები, რომელნიც ჩვეულებრივ თოფის წამალსა ხმარობდნენ, მომეტებულად დაზარალებულან.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველ-თვის. | გამყიდველთვის. | გაყიდულ-თვის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,72 | 7³/₄ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | 99³/₈ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193¹/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀. . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5⁰/₀. . . . . . . | — ,, | 100¹/₄ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | — ,, | 101 | — ,, |
| 5⁰/₀. . . . . . . | — ,, | 100¹/₄ | — ,, |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 97 |

### „ივერიის“ ფოსტა

ს. აც—ს. ა. ტ. კ. გ. თქვენი წერილი ისეა დაწერილი, რომ კაცი ვერ გაიგებს, რა სწერია შიგ. რაღაც კაცის-კვლა მომხდარა, მაგრამ ვინ მოჰკლეს, ვინ მოჰკლა, ამისი მიხვედრა ყოვლად შეუძლებელია.

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ქ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

# განცხადებანი


## მოზრმანდით

**კახეთის ბაღში, ჯვართან, ვერაზე**

საუცხოვო ჰაერი, ბესედკები ვერის წყალზე, საუკეთესო ევროპიული და ქართული საჭმელები; **მუდამ ცოცხალი თევზი**; ბუფეტში იპოვება ყველა ნაირი სასმელი და ღვინოები: ჭავჭავაძისა, ანდრონიკაშვილებისა, შერემეტიევისა და სხვა. ბოთლი 30 კაპ. და მეტიც.

შეიძლება სადილისა და ვახშმის შემოკვეთა. საოჯახო წვეულებისთვის ბაღში გამართულია ზალა და ცალკე ოთახები.

**ყველაფრის ფასი ზომიერია**

ბუფეტის პატრონი ნ. ჩიკვაიძე

რკინის გზის სადგურ

## ქარელის ახლოს,

გორის მაზრაში, არის მადნის წყლები, რომელსაც ეწოდება

**ხვედურეთის აბანო.**

აბანო კარგად არის მოწყობილი. გამართულია ოთახებიცა. საბანებლად მოსულთ თავიანთი საცვლები უნდა ჰქონდეთ ლოგინისათვის. სადგურიდამ აბანომდე მისვლა-მოსვლა ყოველთვის ადვილად შესაძლოა. დაწვრილებით ყოველ გარემოების გასაგებად მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ იჯარადარს თ. კონსტანტინე ნოდარის ძეს ციციშვილს. სადგ. ქარელში.

(3—3)

### უწერის მჟავე წყალი

(რაჭა, ქუთ. გუბ.)

სოფ. უწერას ახლად გაიმართა თავის მოწყობილობით სუფთა ოთახები სამზარეულოთი; მზადდება ევროპიული და ჩვენებური საჭმელები. ფასი იაფი.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანცისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—ითრემებით.

გამგე დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



## წისქვილის თვლები

**თვლები** ხორბლის წმინდად დასაფქვავად, ქატო ბრტყელი იქმნება.

**ტურბინები** (წყალის ამომყვანი) და ნავთით მომუშავე მანქანები **„სლავა“** (დიდება).

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

**(ძირის ფული 1.000,000 მან.)**

ისყიდება 5⁰/₀-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თთვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა**.

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—21) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—31) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ, 22-го Мая 8913 г.

სტამბა მ. შარაძისა,

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**